



აქახი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა
ქართველური ენათმეცნიერება

ქუთაისი
2012

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ქართველური ენათმეცნიერება - Kartvelian Linguistics

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

3. სწავლების ენა: ქართული

4. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი

Doctor of Philological Sciences

5. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორი: სრული პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

6. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე

7. პროგრამის ხანგრძლივობა და მოცულობა კრედიტებში:

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის მიხედვით დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა 3 წელი. აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტმა უნდა დააგროვოს 180 ECTS კრედიტი. აქედან სასწავლო კომპონენტს დაეთმობა 60 ECTS კრედიტი, ხოლო დანარჩენი 120 ECTS კრედიტი დაეთმობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

8. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრის /ან მასთან გათანაბრებული/ დიპლომი სპეციალობით - ფილოლოგია; ასევე: მაგისტრის /ან მასთან გათანაბრებული/ დიპლომი ფილოლოგიის მომიჯნავე სპეციალობებში (ისტორია, ჟურნალისტიკა, ფილოსოფია);
- ქართველური ენათმეცნიერების პრობლემატიკის ზოგადი ცოდნა (შემოწმდება გასაუბრების/გამოცდის დროს);
- უცხო ენის ცოდნა (B 2 დონეზე; დადასტურებული შესაბამისი სერთიფიკატით);
- ქართულენოვანი და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და ანალიზის შესაძლებლობა /შემოწმდება გასაუბრების დროს/.

თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო (მათ შორის სტუდენტთა/მაგისტრანტთა) კონფერენციებსა და ექსპედიციებში და პრაქტიკულად იცის ქვემოთ დასახელებული რომელიმე ქართველური დიალექტი: მეგრული, ლაზური, რომელიმე სვანური კილო (/ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ჩოლურული, ლაშხური), ან: ფერეიდნული, ინგილოური/ჭერული, იმერხეული, ტაოური, ლივანური, მაჭახლური.

შენიშვნა: გამოცდების შედეგებისა და პუბლიკაციების მიხედვით თანაბარ პირობებში მყოფ კონკურსანტთაგან რომელიმეს გამორჩევა დასახელებული დიალექტების (იდიომების) ფლობის გამო, მიზნად ისახავს:

ერთი მხრივ, საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ქართველთა კილოების **გადარჩენა-შესწავლასა და ამ ქართველთა შემოყვანას** საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში;

მეორე მხრივ, მეგრულ-ლაზური და სვანური ლექსიკის შესწავლასა და **ჩართვას ქართული სალიტერატურო ენის ველში** (გასულ საუკუნეებში აქტიური ეს პროცესი ბოლო 70 წელში ფაქტობრივად შეწყდა).

9. პროგრამის აქტუალურობა და მიზანი:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უპირველესი მისიაა ქართველოლოგიური კვლევა-ძიება და ქართველოლოგიის დარგების სწავლება.

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისადაა განსაზღვრული წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის შინაარსიც.

ჰუმანიტარული მეცნიერებების, განსაკუთრებით კი სახელმწიფო ენისა და ნაციონალური კულტურის კვლევისა თუ სწავლების სტრატეგია გარკვეულწილად განისაზღვრება ეროვნული კულტურის, ნაციონალური იდენტობისა და სახელმწიფოებრივი ღირსების გათვალისწინებით. მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარებას ხელი დიდად შეუშალა რუსეთის იმპერიაში მეცნიერების პოლიტიზებამ. მიზეზთა გამო დღეს უფრო სუსტია საზღვარგარეთული ქართველოლოგიური ცენტრებიც, არადა, თანამედროვე ელექტრონული მატარებლებით ინფორმაციის გაცვლა კარგ შესაძლებლობას იძლევა, სწრაფად განვითარებადი მსოფლიოს გლობალური ქსელი გავაჯეროთ მეცნიერული ქართველოლოგიის ისეთი დებულებებით, რომლებიც შემუშავებულია ემპირიული მასალისა და თანამედროვე მეთოდების საფუძველზე.

კვლევის ახალი მეთოდები და თანამედროვე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო სკოლებზე დაყრდნობით, თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიყვანოთ **ქართველური ენობრივი სამყაროს კვლევა და სწავლება**; ვფიქრობთ, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სადაც ფუნქციონირებს დიდი ტრადიციების მქონე ქართული ენის დეპარტამენტი და ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება, შეიძლება გახდეს ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების კვლევისა თუ სწავლების შეუცვლელი წამყვანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულება, ზოგადად, **ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი ცენტრი არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი სტუდენტებისთვისაც.** ამ მიზნის შესრულებას ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელთა მიერ ორგანიზებული ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები, სადაც მოხსენებებს კითხულობენ **უცხოელი დოქტორანტებიც.**

დოქტორანტურა ცოდნის სინთეზისა და ახალი ხედვების კონსტრუირების პერიოდია, ამიტომაც, ჩვენი სადოქტორო პროგრამა - **ქართველური ენათმეცნიერება** - ითვალისწინებს:

- ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლასა და სამეცნიერო პრობლემების ანალიზს (განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კრიტიკულ ანალიზსა და საერთაშორისო ველში არსებული მასალების მიმოხილვას);
- ახალი სამეცნიერო პრობლემების წამოჭრისა და პროფესიული გადაწყვეტის გამოცდილების მიღებას;
- სამეცნიერო ნაშრომის აკადემიურ დამუშავებას;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვას და კვლევის შედეგების ჩართვას საერთაშორისო მიმოქცევაში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც დოქტორის ტიტული უმაღლესი კვალიფიკაციის ხარისხია (მის მფლობელს საერთაშორისო დონეზე შეუძლია აკადემიური მოღვაწეობა) და საქართველო ქართველოლოგიის ცენტრობის ბუნებრივი პრეტენზიის მქონეა, ჩვენს უნივერსიტეტში გაზრდილი მეცნიერებათა დოქტორი უნდა ფლობდეს ისეთ უნარ-ჩვევებს, რომ მან შეძლოს არა მხოლოდ სწავლება და კვლევა საქართველოში, არამედ ქართული ენისადმი ინტერესის გაძლიერება და **ლინგვისტური ქართველოლოგიის მიღწევათა გატანა** საზღვარგარეთ.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველურ ენა-კილოთა ისტორიის, ქართველური დიალექტოლოგიისა და ქართველური ონომასტიკის ძირითადი პრობლემებისა და საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკის შესწავლა-კვლევა; ველზე მივლინებებით **ერთი რომელიმე ქართველური იდიომის საფუძვლიანად**

შესწავლა და ქართველური ენა-კილოების შეპირისპირებითი ანალიზი, ქართველური კილოების მონაცემთა ბაზის (ქართველური დიალექტური კორპუსის) შექმნა და სხვ.

დოქტორანტის მომზადებაში უმთავრესია **სადისერტაციო ნაშრომი**, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს სწავლების მთელ მანძილზე. სადისერტაციო ნაშრომი იქნება მონოგრაფიული ხასიათის დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წარმოადგენდეს წინ გადადგმულ ნაბიჯს შესასწავლი პრობლემის კვლევაში.

სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია უნივერსიტეტის პედაგოგის აღზრდა. ლექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, დოქტორანტურის გეგმაში სემინარულ მუშაობასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით რეფერატების მომზადებას, სხვათა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზსა და აუდიტორიისადმი წარდგენის მეთოდოლოგიას. დოქტორანტი ვალდებულია, ხელმძღვანელს დაწვრილებით წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შედეგები რეფერატის, მოხსენებისა და სტატიის სახით. სწავლების პროცესში თავდაპირველად დოქტორანტს მიეცემა საშუალება, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ცოდნა, დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის უნარი; შემდეგ ხელმძღვანელი ოპონენტის როლში იქნება: ხელმძღვანელის მუშაობა დოქტორანტთან გაგრძელდება აქტიური სამეცნიერო დისკუსიის ფორმატით.

10. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო და კვლევითი კომპონენტების აღწერა.

10.1. სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი).

10.1.1. სადოქტორო პროგრამის ძირითად სასწავლო დისციპლინას წარმოადგენს: **"ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები"** (ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური ენა-კილოების მონაცემების სისტემური ანალიზი), რომელიც უზრუნველყოფს საკვანძო პრობლემების ირგვლივ არსებული ფაქტობრივი მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს. შესაბამისი დავალების შესრულებას დოქტორანტები მოანდომებენ **პირველ და მეორე სემესტრებს**: თითო სემესტრი - **4 კრედიტი**. პირველ სემესტრში დოქტორანტს წაეკითხება "დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები" /5 კრედიტი/.

მეორე და მესამე სემესტრებში დოქტორანტს სადისერტაციო თემის შესაბამისად **წაეკითხება 5-კრედიტიანი ორი საგანი**, მაგ., ქართველური ფონეტიკის მიმართულებით თემის არჩევისას - "ქართველური ფონემატური სტრუქტურის პრობლემური კურსი"; ენის ისტორიის თემატიკის შემთხვევაში - "ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში", სტანდარტიზაციის მიმართულებით თემის არჩევისას - "სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები", ტერმინოლოგიის არჩევისას - „ქართული ტერმინოლოგიის პრობლემური კურსი“, ენის ნორმების არჩევისას - „სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები“ და სხვ.

დოქტორანტი პირველ და მეორე სემესტრებში სიღრმისეულად შეისწავლის სამეცნიერო ლიტერატურას მეგრულ-ლაზურ, სვანური და მესხური კილოური ჯგუფების შესახებ და ზაფხულის პერიოდში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ ყოველწლიურ დიალექტოლოგიურ ექსპედიციაში.

შენიშვნა: დასახელებული ქართველური ენობრივი ქვესისტემების /მეგრულ-ლაზური, სვანური: (ბალსხემოური, ბალსქვემოური, ლენტეხური, ლაშხური), იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჯავახური, აჭარული, მაჭახლური, ლივანური.../ არჩევა გამართლებულია, ერთი მხრივ, ამ ენობრივ ერთეულთა სპეციფიკურობითა და საფრთხის ქვეშ მყოფობით, მეორე მხრივ კი - ქუთაისის მდებარეობითა და შესაბამის რეგიონებში მუშაობის გამოცდილებით: ქუთაისთან ახლოსაა სამეგრელო და სვანეთი, გარდა ამისა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი/მიმართულება მრავალი წელია ატარებს ექსპედიციებს ტაო-კლარჯეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში და ყველა ამ რეგიონში ინსტიტუტს მომზადებული აქვს ბაზები ველზე მუშაობისათვის.

დოქტორანტის – უნივერსიტეტის მომავალი პროფესორის – მომზადებისას საგანგებო ყურადღება მიექცევა პროფესორის ასისტენტობას /5 კრედიტი/, სწავლებისა და კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდებსა /5+5 კრედიტი/ და დარგის პრობლემური თემების მიხედვით სამეცნიერო მოხსენებების (სემინარის) მომზადებას (10 კრედიტი).

10.1.2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სქემა:

№	საგნების დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობა სემესტრების მიხედვით			
				I	II	III	IV-VI
1	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - I	სავალდებულო	4	4			
2	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - II	სავალდებულო	4		4		
3	მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)	სავალდებულო	6	6			
4	სვანური კილოები (თეორიული კურსი)	სავალდებულო	6		6		
5	მესხური კილოების (ტაო-კლარჯულ-სამცხურ-ჯავახურ-აჭარული) თეორიული კურსი	სავალდებულო	5			5	
6	ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5			
7	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5			5	
8	სპეციალიზაციის მოდული: 8.1. ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში 8.2. ქართველური ფონემატური სტრუქტურის საკვანძო საკითხები 8.3. ქართველური სახელის პარადიგმა 8.4. ქართველური ზმნის პარადიგმა 8.5. ქართველურ ენა-კილოთა სინტაქსი 8.6. ქართველური ტერმინოლოგიის პრობლემური კურსი; 8.7. ქართველური ლექსიკოლოგიის პრობლემური კურსი 8.8. სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები	არჩევითი	10		5	5	
9	სემინარი	სავალდებულო	10		5	5	
10	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სავალდებულო	5	5			
სულ სასწავლო კრედიტები			60	20	20	20	

	სადოქტორო დისერტაცია	სავალდებულო	120	10	10	10	90
	სულ		180	30	30	30	90

შენიშვნა: ზოგი სასწავლო კურსის საფუძვლიანი შესწავლა მოითხოვს გარკვეულ წინაპირობას, რომელიც მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში. კერძოდ: „ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები II“-ის სრულყოფილად ათვისებისათვის დოქტორანტს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საგანი „ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები I“.

10.1.3. საკონტაქტო და არასააუდიტორიო საათების განაწილების სქემა სასწავლო კურსების მიხედვით:

	კრედიტი	სააუდიტორიო საათები				არასააუდიტ. საათები			სულ
		1	2	3	1	2	3		
ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები I	4	15	15	4	34	17	15	100	
ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები II	4	15	15	4	30	16	20	100	
მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)	6	30	30	5	50	15	20	150	
სვანური კილოები (თეორიული კურსი)	6	30	30	5	50	15	20	150	
მესხური კილოები (თეორიული კურსი)	5	15	30	4	41	15	20	125	
ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში	5	15	30	4	32	24	20	125	
ქართველური ფონემატური სტრუქტურის საკვანძო საკითხები	5	15	30	4	31	25	20	125	
ქართველური სახელის პარადიგმა	5	15	30	4	31	25	20	125	
ქართველური ზმნის პარადიგმა	5	15	30	4	31	25	20	125	
ქართველურ ენა-კილოთა სინტაქსი	5	15	30	4	31	25	20	125	
ქართველური ტერმინოლოგიის პრობლემური კურსი	5	15	30	4	32	24	20	125	
ქართველური ლექსიკოლოგიის პრობლემური კურსი	5	15	30	4	31	25	20	125	
სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები	5	15	30	4	31	25	20	125	
ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	5	15	30	4	38	18	20	125	
სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	5	15	30	4	40	20	18	125	
პროფესორის ასისტენტობა	5								
სემინარი	10								
სულ:	60								

შენიშვნა:
საკონტაქტო:

1 - ლექცია; 2 - პრაქტიკული მეცადინეობის, სემინარებისა და პრეზენტაციების დრო; 3. შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდისთვის საჭირო დრო.

არასააუდიტორიო:

1 - სალექციო კურსის შესაბამისად პრაქტიკული მეცადინეობისათვის მომზადების დრო; 2. პრეზენტაციებისა და სემინარების მომზადებისათვის საჭირო დრო; 3. შუალედური შეფასებებისა და ფინალური გამოცდის მომზადების დრო.

10.1.4. სწავლების ფორმები და მეთოდები.

10.1.4.1. სწავლების ფორმა - ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ინდივიდუალური მუშაობა.

10.1.4.2. დოქტორანტურაში სწავლებისას გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

- ინდუქციის მეთოდი /საანალიზო მასალის სრულყოფილი დამუშავებისა და განზოგადების მიზნით/;
- დედუქციის მეთოდი /ლინგვისტური უნივერსალები ანალიზის მიზნით/;
- ანალიზისა და სინთეზის მეთოდი /დოქტორის მთავარი უნარის - ახალი თვალსაზრისის კონსტრუირების - გამომუშავების მიზნით/;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ელექტრონული სწავლების მეთოდი;
- სამეცნიერო თვალსაზრისების შეპირისპირების მეთოდი /კრიტიკული ანალიზისა და საკუთარი თვალსაზრისის გამომუშავების მიზნით/;
- დებატების მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი /სამეცნიერო პრობლემის არსში ჩაღრმავების მიზნით/...

11. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა.

11.1. შესაფასებელი კომპონენტები:

- ლექციაზე აქტიურობის შეფასება;
- დამუშავებული ლიტერატურის სისრულის, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარის შეფასება პრაქტიკულზე;
- წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურის შეფასება პრაქტიკუმისა და გამოცდების დროს;
- სალექციო თემების ათვისების უნარის შეფასება შუალედური გამოცდების დროს;
- ცოდნის სინთეზისა და იდეების კონსტრუირების უნარის შეფასება გამოცდის დროს.

11.2. შეფასების მეთოდები: ზეპირი გამოკითხვა, ტესტირება, წერიტი დავალება, ჯგუფში მუშაობასა და პრეზენტაციაზე დაკვირვება.

11.3. შეფასების ფორმები: შეფასება პრაქტიკულ სამუშაოზე, პრეზენტაციის უნარის შეფასება. შუალედური შეფასება, შემაჯამებელი გამოცდა.

11.4. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები:

სტუდენტის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ წარმოდგენილი “ა” ქვეპუნქტის ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება

გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს 2 შუალედურ შეფასებასა და შემაჯამებელ გამოცდას.

- ცოდნის შეფასება წარმოებს 100 ქულიანი სისტემით; დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით; კერძოდ, ჩვენი პროგრამით გათვალისწინებულია, რომ **დასკვნითი გამოცდის** შეფასება შეადგენს 40%-ს (40 ქულას), **ორი შუასემესტრული შეფასება 50%-ია** (25-25 ქულა), ხოლო დანარჩენი **10% გამოყოფილია** სტუდენტის ყველა სხვა აქტივობის შესაფასებლად: ლექცია-პრაქტიკუმებზე აქტიურობა, საშინაო დავალებები, სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, პრეზენტაციები და ა.შ. ქულების გადანაწილებას მეცადინეობების ამ ტიპებს შორის ახდენს კურსის განმახორციელებელი/ განმახორციელებლები/ პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით და ეს განაწილება ასახულია საგნის სილაბუსში.

- შემაჯამებელ გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და შემაჯამებელი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

- კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება შეადგენს არანაკლებ 51 ქულას.

- საბოლოო შეფასება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგების შეჯამების საფუძველზე.

- სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

11.4.1. საწავლო კურსის შედეგს აფასებს კურსის განმახორციელებელი. **პროფესორის ასისტენტობას** აფასებს დოქტორანტის ხელმძღვანელი; **სემინარის შედეგებს** აფასებს სულ მცირე, სამკაცრიანი კომისია (თემის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და მიმართულების 1 პროფესორი). შეფასების დოკუმენტები ინახება დეკანატში.

11.4.2. სტუდენტის აქტიურობის შეფასება /სულ 10 ქულა/.

11.4.2.1. აქტიურობა პრაქტიკული მეცადინეობების დროს /აღქმის უნარი, სალექციო თემის დამოუკიდებელი დასკვნის, დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი და სხვ.: **0 - 5 ქულა;**

5 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 90-100%-ს. აქტიურად ჩაერთვება დისკუსიაში.

4 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 80%-ს. ჩაერთვება დისკუსიაში.

3 ქულა: შეასრულებს საშინაო დავალებების 70%-ს, მონაწილეობას მიიღებს შეკითხვების დასმაში.

2-1 ქულა: ასრულებს საშინაო დავალებების 40%-ს.

1.1.4.2.2. პრეზენტაციის უნარის შეფასების კრიტერიუმები /მაქსიმალური ქულა -5/

შეფასება	1-2 ქულა	3 ქულა	4 ქულა	5 ქულა
შესავალი /პრობლემის დასმა; მიზნის ჩამოყალიბება /	ტრაფარეტული და უინტერესო მსჯელობა	შესავალშივე არის მცდელობა აუდიტორიის დაინტერესების	შესავალში საინტერესოდ არის მოწოდებული პრობლემის არსი	შესავალში საინტერესოდ არის მოწოდებული პრობლემის არსი და მოძიებული აქვს მასალა, რომელიც ეფექტურს ხდის მოხსენებას
თემის გასაგებად წარმოდგენა	დარღვეული ა ლოგიკა და ბუნდოვანია	ნაწილობრივ გასაგებია და განმარტებას მოითხოვს	ლოგიკურად არის აგებული, შეინიშნება მცირედი ხარვეზები.	თემა ლოგიკურად არის აგებული, წარმოდგენილი საკითხები ნათელი და გასაგებია.

მსჯელობის უნარი	დაბნეულია, გაუგებრად საუბროს	ხშირად ჩერდება და იმეორებს ერთსა და იმავეს	გამართული და გასაგებია	გამართული და გასაგებია, არ ორჭოფობს, საუბრობს დარწმუნებით
საანალიზო მასალის წარმოდგენა	მწირადაა წარმოდგენილი	არ არის გააზრებული	სრულადაა წარმოდგენილი	ამომწურავადაა წარმოდგენილი საკუთარი დამოკიდებულების ჩვენებით
დასკვნები	არ არის გაკეთებული	დასკვნები გაუმართავი და ულოგიკოა	ლოგიკურია, კარგად არის ჩამოყალიბებული	ლოგიკურია, კარგად არის ჩამოყალიბებული და ორიგინალურია
აუდიტორიასთან კონტაქტი	ვერ ამყარებს კონტაქტს	პერიოდულად ცდილობს კონტაქტს	გრძნობს და ამყარებს კონტაქტს	კარგად ფლობს კომუნიკაციის უნარს
პასუხები აუდიტორიის შეკითხვებზე	უჭირს პასუხის გაცემა	პასუხები არ არის გამართული	თითქმის ყველა კითხვას პასუხობს	პასუხობს ყველა კითხვას
სალიტერატურო ენის ფლობა	არადაძაგმა ყოფილებელია	მნიშვნელოვანი ხარვეზები აქვს	მცირე ხარვეზები აქვს	გამართულია
თვალსაჩინოების /სქემა, ცხრილი, ნახაზი.../ გამოყენება	არ იყენებს	იყენებს მწირედ	იყენებს	წარმატებით იყენებს
თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა	ცუდად	ნორმალურად	კარგად	ძალიან კარგად

საშუალო არითმეტიკულით დგინდება საბოლოო შეფასება (0-დან 10-მდე).

11.4.3. I შუალედური შეფასება 0 - 25 ქულა. შუალედური შეფასება ტარდება წერითი ფორმით მე-6 კვირაში; ფასდება სილაბუსის I-V საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა.

თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 30-ზე და გამრავლდება 25-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 50-ზე და გამრავლდება 25-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტნაკლებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

11.4.4. II შუალედური შეფასება 0 - 25 ქულა. შუალედური შეფასება ტარდება წერითი ფორმით მე-11 კვირაში; ფასდება სილაბუსის VI-X საკითხების ცოდნისა და გაცნობიერების დონე, დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა.

თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 30-ზე და გამრავლდება 25-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 50-ზე და გამრავლდება 25-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტნაკლებად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

11.4.5. შემაჯამებელი გამოცდა: 0 - 40 ქულა. შემაჯამებელი გამოცდა ტარდება წერითი ფორმით სემესტრის დასრულების შემდეგ. ფასდება ყველა ძირითადი სალექციო საკითხის ცოდნისა და გაცნობიერების დონე. დამუშავებული ლიტერატურის სისრულე, ლოგიკური აზროვნების, აზრის

მკაფიოდ გადმოცემისა და მსჯელობის უნარი, წერითი მეტყველების კულტურა. შემაჯამებელ გამოცდაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ცოდნის სინთეზისა და ახალი იდეების კონსტრუირების უნარს.

თითოეული საგამოცდო საკითხი ფასდება 10-ბალიანი სისტემით (საბოლოო შეფასება დგინდება საშუალო არითმეტიკულით; კერძოდ, თუკი საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 3 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 30-ზე და გამრავლდება 30-ზე; ან: თუ საგამოცდო ბილეთში თანაბარი სიძლიერის 5 საკითხია, ჯერ ჯამდება თითოეულ საკითხში მიღებული შეფასებანი, შემდეგ ჯამი გაიყოფა 50-ზე და გამრავლდება 40-ზე).

10-9 ქულა: პასუხი სრულყოფილად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, სრულად ავლენს პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნას, ავლენს პრობლემის გამოკვეთის, გაანალიზებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. მკაფიოდ ჩანს სტუდენტის წერითი მეტყველების კულტურა, ნაწერი გამართულია ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით;

8-7 ქულა: პასუხი სრულია, სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არ არის ფაქტობრივი უზუსტობები, გამოვლენილია პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, სტუდენტი გამოკვეთს პრობლემას, აანალიზებს საკითხს, მსჯელობისას უშვებს უმნიშვნელო ხასიათის შეცდომებს; მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, შეიმჩნევა უმნიშვნელო ხასიათის გადაცდომები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

6-5 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი დამაკმაყოფილებლად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მცირე ფაქტობრივი უზუსტობები, ნაწილობრივ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, მიმოხილულია საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურის ნახევარზე მეტი; შეიმჩნევა რამდენიმე უხეში ხასიათის გადაცდომა ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისაგან;

4-3 ქულა: პასუხი არასრულია, სტუდენტი მეტწილად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის ფაქტობრივი უზუსტობები, არ არის გამოვლენილი პროფესიული ტერმინოლოგიის ცოდნა, ზეპირი მსჯელობისას სუსტად ავლენს პრობლემის ანალიზისა და მასზე არგუმენტირებული მსჯელობის უნარს. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია;

2-1 ქულა: პასუხი მეტად მწირია, სტუდენტი ფრაგმენტულად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, ნაწერში არის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი უზუსტობები, სტუდენტს არ აქვს ათვისებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, ტექსტი ენობრივად გაუმართავია;

0 ქულა: საკითხი არ პასუხობს თემას (ან ნაწერი არ არსებობს) .

ცოდნის საბოლოო შეფასება ხდება დაგროვილი ქულების საერთო ჯამით შემდეგი სქემის შესაბამისად:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შემაჯამებელი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუკი სტუდენტი გამოცდაზე მიიღებს გამოცდის მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტს.

11.5. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სემინარის შეფასება

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	მოხსენების თემის აქტუალობის წარმოჩენა
2	მოხსენების პრობლემის გაგებინება აუდიტორიისათვის
3	მოხსენების თემატიკის თეორულ დებულებათა არსში წვდომა
4	მოხსენების ძირითადი ნაწილის გეგმის სწორად აგება და რეალიზება
5	მოხსენების დსკვნების შესაბამისობა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან
6	შემდგომის კვლევის მოტივაცია /შემდგომი კვლევის პერსპექტივის წარმოჩენა/
7	კრიტიკული აზროვნება
8	კონტაქტი აუდიტორიასთან
9	მოხსენების თემასთან კვლევის მეთოდების შესაბამისობა
10	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

თითოეული კომპონენტის შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით:

10-9 ქულა: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად წარმოჩნდა;

8-7 ქულა: სტუდენტი კარგად წარმოჩნდა;

6-5 ქულა: სტუდენტი საშუალოდ წარმოჩნდა;

4-3 ქულა: სტუდენტი სუსტად წარმოჩნდა;

2-0 ქულა: სტუდენტი ცუდად წარმოჩნდა.

საბოლოო შეფასება მიიღება თითოეული შეფასებული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით.

11.6. პროფესორის ასისტენტობის ფორმატით დოქტორანტის მიერ ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობისა და ჯგუფური სამუშაოს /დისკუსია სემინარისა და პრეზენტაციის შემდეგ/ შეფასება

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	პრაქტიკულ მეცადინეობაზე ლექციის თემის ძირითადი ასპექტების მიმოხილვა
2	სტუდენტთა მიერ ლექციის თემის ცოდნისა და გაცნობიერების დონის შემოწმება
3	სტუდენტთა შეკითხვებზე პასუხები /ლექციის თემის ფარგლებში/
4	სტუდენტთა ჩართვა /თანამონაწილეობა/ საკითხების ანალიზის პროცესში
5	ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება
6	პრაქტიკული გამოკითხვის დროს დოქტორანტის, როგორც ლექტორის დამოკიდებულება სტუდენტებისადმი /დავალების შესრულების მოთხოვნისა და ლექტორის ტაქტის შესაბამისობა/
7	სალექციო დავალების საკითხების ამოწურვა
8	სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების სტიმულირება
9	სალექციო თემის შეჯამება
10	საპრეზენტაციო თემის განსაზღვრა
11	პრეზენტაციისთვის სტუდენტის/სტუდენტთა შერჩევის მეთოდი/პრინციპი
12	პრეზენტაციის პროცესის წარმართვა
13	პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტთა დისკუსიის სტიმულირება
14	საპრეზენტაციო თემის განხილვის შემდეგ პრობლემის შეჯამება
15	პრეზენტაციის წარმომდგენის /მომხსენებლის/ და დისკუსიის მონაწილეთა სხვა სტუდენტთა მსჯელობების კრიტიკული ანალიზი

თითოეული კომპონენტის შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით:

10-9 ქულა: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად წარმოჩნდა;

8-7 ქულა: სტუდენტი კარგად წარმოჩნდა;

6-5 ქულა: სტუდენტი საშუალოდ წარმოჩნდა;

4-3 ქულა: სტუდენტი სუსტად წარმოჩნდა;

2-0 ქულა: სტუდენტი ცუდად წარმოჩნდა.

საბოლოო შეფასება მიიღება თითოეული შეფასებული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით.

12. კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)

12.1. სადოქტორო ნაშრომის მიზანი

სადოქტორო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის მიერ შესრულებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ძირითადი მიზანია სადოქტორო დისერტაციის მომზადება, დებულებით გათვალისწინებული ყველა აქტივობის შესრულება და დისერტაციის დაცვა. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- სადოქტორო დისერტაციის შერჩეულ თემასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცოდნის არეალის გაფართოება, უახლესი ინფორმაციის მოპოვება, სისტემატიზირება და მეცნიერული დამუშავება;
- სადისერტაციო თემის კრიტიკული გააზრება, ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებით დამუშავება, კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად დაგეგმვა, სრულყოფა და განხორციელება;
- პრეზენტაციის უნარის და დისკუსიის ხელოვნების განვითარება-სრულყოფა;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარება-სრულყოფა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება გამოსაქვეყნებლად რეფერირებადი ჟურნალისათვის, აუცილებელი სტანდარტის დონეზე.

სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს ერთი რომელიმე კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის შესახებ ფუნდამენტურ /მონოგრაფიული ხასიათის/ გამოკვლევას და მასში სრულფასოვნად უნდა აისახოს მოცემული საკითხის შესახებ მსოფლიოში არსებული თანამედროვე გამოკვლევები და დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში შეძენილი თეორიული ცოდნა. ნაშრომში შემოქმედებითად და აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დარგის თავისებურებების გათვალისწინებით.

ამრიგად, სადოქტორო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, საფუძვლიანი დარგობრივი ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და, რაც ასევე არსებითია, შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

12.2. კვლევის სავარაუდო თემატიკა. საკვლევი ველი შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემებით (რომელთა ფარგლებში დოქტორანტს შეეძლება სადოქტორო დისერტაციის თემის შერჩევა):

- საერთოქართველური ენის დივერგენციისა და რეკონსტრუქციის პრობლემები
- ქართული სამწიგნობრო ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ონომასტიკის საკითხები;
- ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურა /დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი: ძირითადად, ქართველური ქვესისტემების ურთიერთშეპირისპირება; ასევე: ქართველურის შედარება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ და არამონათესავე ენებთან/;
- ქართული/ქართველური ენა-კილოების სახელის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების ზმნის ფორმაწარმოება (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების ლექსიკა (სახელდების მოტივაცია და ეტიმოლოგიური ძიებები);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების სინტაგმა (დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი);
- ქართული/ქართველური ენა-კილოების წინადადების ანალიზი (სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით);
- ქართული/ქართველური სამწიგნობრო ენის მოდელირება;
- ტექსტის ლინგვისტიკა.
- ქართული სამწიგნობრო ენის ნორმირება;
- ქართული სამწიგნობრო კულტურის ისტორია;
- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში;

- საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაცია დღეს;
- ცალკეული ქართველური ენობრივი ერთეულების (სვანური, მეგრულ-ლაზური, რაჭული, მესხური, ფხოვური, ჰერული...) ახალი მონაცემების (ტექსტების კორპუსის) შექმნა და მასალის მონოგრაფიული შესწავლა და სხვ.

12.3. სადოქტორო ნაშრომის შესრულების გეგმა სემესტრების მითითებით; კრედიტების განაწილება და საათობრივი დატვირთვა:

სულ 120 კრედიტი - 3000 სთ.

I სემესტრი: დოქტორანტისა და ხელმძღვანელის შეთანხმებით სადოქტორო (სადისერტაციო) თემის შერჩევა; სადოქტორო თემის გეგმის შედგენა: 6 კრედიტი – 150 სთ. ბიბლიოგრაფიის დამუშავება: 4 კრედიტი - 100 სთ.

II სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების I ეტაპი (10 კრედიტი - 250 სთ.); ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ გამოკვლევათა ანალიზი და დიალექტური (სხვა სახის) მასალის მოძიება;

III სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების II ეტაპი (10 კრედიტი - 250 სთ.); გამოკვლევის წარდგენა რესპუბლიკურ/საერთაშორისო კონფერენციებზე - (5 კრედიტი - 125 სთ.).

IV სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების III ეტაპი (10 კრედიტი - 250 სთ.); სადისერტაციო თემის მესამე ნაწილის წარდგენა I კოლოკვიუმზე (5 კრედიტი - 125 სთ.); სტატიის მომზადება გამოსაქვეყნებლად (5 კრედიტი - 125 სთ.); პრეზენტაცია (10 კრედიტი - 250 სთ.).

V სემესტრი: სადოქტორო თემის დამუშავების IV ეტაპი (20 კრედიტი - 500 სთ.); სადისერტაციო თემის მეოთხე ნაწილის წარდგენა II კოლოკვიუმზე (5 კრედიტი - 125 სთ.); რესპუბლიკური/საერთაშორისო კონფერენციებისა და სამეცნიერო კრებულებისთვის მასალების მომზადება. ერთი სტატიის გამოსაქვეყნებლად მომზადება (5 კრედიტი - 125 სთ.).

VI სემესტრი: სადოქტორო თემის საბოლოო სახის შექმნა, ნაშრომის წარდგენა სადისერტაციო საბჭოსთვის და დაცვა (30 კრედიტი - 750სთ.).

შენიშვნა: გარდა აღნიშნულისა, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება-დაცვასთან დაკავშირებული აქტივობები შეიძლება იყოს:

- სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციები;
- დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის ფორმირება;
- დარგის აღიარებულ სპეციალისტებთან შეხვედრები და კონსულტაციები;
- სხვადასხვა სამეცნიერო შეხვედრებსა და ფორუმებში მონაწილეობა;
- დამოუკიდებელი მუშაობა;
- ექსპერიმენტის ჩატარება;
- კვლევის შედეგების ეკონომიკური თუ სოციალური ეფექტის შეფასება;
- კვლევის შედეგების დანერგვა და ა.შ.

კვლევითი კომპონენტი სქემის სახით:

№	კვლევის ფორმები	კრედიტების რაოდ.	კვლევითი კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით					
			I	II	III	IV	V	VI
1.	ბიბლიოგრაფიის შედგენა	4	4					
2.	დისერტაციის პროექტის წარდგენა	6	6					
3.	კოლოკვიუმები	10				5	5	
4.	პუბლიკაციები	10				5	5	
5.	დისერტაციის მომზადება	50		10	10	10	20	

6.	პრეზენტაცია დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე	10				10		
7.	დისერტაციის დაცვა	30						30
	სულ	120	10	10	10	30	30	30

შენიშვნა 1: შესაბამისი კრედიტის ათვისება ხდება ნაშრომის შეფასებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებითა (№ 785 2009 წლის 21 სექტემბერი) და აწსუ-ში მიღებული შეფასების სისტემით (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 35 (11/11 2010 წლის 10 ნოემბერი). სამეცნიერო კომპონენტების შესაბამისი კრედიტები ფიქსირდება დეკანატის უწყისებში.

შენიშვნა 2: პუბლიკაციად ჩაითვლება დასაბეჭდად გადაცემული სტატია.

12.4. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შედეგი. კვლევითი კომპონენტის შესრულების შედეგად განვითარდება: კვლევის, სინთეზის, ანალიზის, დასკვნის, სწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, პრეზენტაციის, დისკუსიის და სხვა უნარები.

კვლევითი კომპონენტის შესრულების პროცესი ორიენტირებულია შემდეგი შედეგების მიღებაზე (რომლებიც დაკონკრეტდება დისერტაციის თემის სპეციფიკის შესაბამისად):

ა) ცოდნა-გაცნობიერება:

- აქვს დარგში არსებულ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა;
- ინოვაციური მეთოდების გამოყენებით შეუძლია პუბლიკაციის მომზადება რეფერირებადი ჟურნალისათვის /სადისერტაციო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე/.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დაცვის შემდეგ დოქტორს შეეძლება, ახალი ცოდნის მისაღებად, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშაოს ახლებური კვლევითი თუ ანალიტიკური მეთოდები და თანამედროვე მიდგომები, რომლებიც აისახება საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის მომზადებულ პუბლიკაციებში.

გ) დასკვნის უნარი:

- გააჩნია კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- აქვს პრობლემის დასმისა და გადაჭრის, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია არსებული ცოდნისა და მიღებული ახალი ცოდნის შეპირისპირება;

დ) კომუნიკაციის უნარი:

ეფექტურად იღებს და გადასცემს ინფორმაციას კოლეგებს, მათ შორის უცხო ენაზე; კამათობს აქტუალურ პრობლემებზე, ლოგიკურად აყალიბებს, ასაბუთებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას; შეუძლია საკუთარი მიღწევების პრეზენტირება ფართო საზოგადოებისათვის, ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით.

ე) სწავლის უნარი:

- დარგის სპეციფიკის შესაბამისად, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, აყალიბებს სწავლება/სწავლის გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიებს;
- მზად არის ინოვაციების დანერგვა-განვითარებისათვის;
- აფასებს და გეგმავს საკუთარი კვლევითი პროცესის განხორციელების საჭიროებებს;
- აღიქვამს და იყენებს დარგის კვლევის ახალ მეთოდებსა და შედეგებს.

ზ) ღირებულებები:

ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით არსებითი წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში;

- შეიმუშაოს ტრადიციულ მყარ ღირებულებათა დამკვიდრების ინოვაციური მეთოდები და ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზები/საშუალებები. დაიცვას მეცნიერული ეთიკა და ობიექტურობა; ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

12.5. კვლევითი კომპონენტის შეფასება:

12.5.1. სადისერტაციო ნაშრომის კომპონენტების შეფასების ზოგადი წესი:

კვლევითი კომპონენტების შეფასებას ახდებს თემის ხელმძღვანელი. კოლოქვიუმის შედეგებს აფასებს პროგრამის ხელმძღვანელი და მიმართულების პროფესორების ნახევარზე მეტი (კოლოქვიუმს უნდა ესწრებოდეს დარგის 5 სპეციალისტი მაინც); კოლოქვიუმს წარმართავს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. ენათმეცნიერების მიმართულების პროფესორთა, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა წინაშე სემინარისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციას აფასებს სამკაცციანი კომისია (პროგრამის ხელმძღვანელი და მიმართულების 2 პროფესორი). სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზისას შეფასებას ახდენს სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სამკაცციანი საექსპერტო კომისია. შეფასების დოკუმენტები ინახება დეკანატში.

12.5.2. სადისერტაციო ნაშრომის კომპონენტების შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) მაღიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც ხარვეზების გამო წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც ხარვეზების გამო წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

12.5.3. დოქტორანტის მიერ ჩატარებული კოლოქვიუმის შეფასება

№	შესაფასებელი კომპონენტები
1	სადისერტაციო თემის თემის აქტუალობის წარმოჩენა
2	სადისერტაციო თემის პრობლემის გაგებინება აუდიტორიისათვის
3	სადისერტაციო თემის თემატიკის თეორულ დებულებათა არსში წვდომა
4	სადისერტაციო თემის მოცემული მონაკვეთის გეგმის სწორად აგება და რეალიზება
5	სადისერტაციო თემის მოცემული მონაკვეთის შესაბამისობა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან
6	შემდგომის კვლევის მოტივაცია /შემდგომი კვლევის პერსპექტივის წარმოჩენა/
7	კრიტიკული აზროვნება
8	კონტაქტი აუდიტორიასთან
9	მოხსენების თემასთან კვლევის მეთოდების შესაბამისობა
10	პრეზენტაციის პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება

თითოეული კომპონენტის შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით:

10-9 ქულა: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად წარმოჩნდა;

8-7 ქულა: სტუდენტი კარგად წარმოჩნდა;

6-5 ქულა: სტუდენტი საშუალოდ წარმოჩნდა;

4-3 ქულა: სტუდენტი სუსტად წარმოჩნდა;

2-0 ქულა: სტუდენტი ცუდად წარმოჩნდა.

საბოლოო შეფასება მიიღება თითოეული შეფასებული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით.

12.5.4. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით /№ 785 2009 წლის 21 სექტემბერი/.

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო, ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადოქტორო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით; შესაფასებელი კომპონენტებისა და ქულების მიმართების სავარაუდო სქემა ასე გამოიყურება:

ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა): დასკვნის, სარჩევის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის წარმოდგენა	10
ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (საკვანძო საკითხები, ძირითადი პუნქტები, მასალის დამუშავება, ინფორმაციის სირთულე)	60
▪ თემის აქტუალურობა	30
▪ ორიგინალურობა	10
▪ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა	5
▪ შეგროვებული მონაცემები, შემუშავებული მეთოდები	5
▪ საინფორმაციო რესურსების გამოყენება	5
▪ მსჯელობის ხარისხი: იდეების და / ან კონცეფციების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა	5
ნაშრომის პრეზენტაცია (ვერბალური მხარე, ტექნიკური და ვიზუალური მხარე)	30 ქულა (ვერბალური მხარე - 20 ქ., ტექნიკური მხარე - 10.)
ნაშრომის საბოლოო შეფასება	100 ქულა

თითოეული კომპონენტის შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით:

10-9 ქულა: სტუდენტი ზედმიწევნით კარგად წარმოჩნდა;

8-7 ქულა: სტუდენტი კარგად წარმოჩნდა;

6-5 ქულა: სტუდენტი საშუალოდ წარმოჩნდა;

4-3 ქულა: სტუდენტი სუსტად წარმოჩნდა;

2-0 ქულა: სტუდენტი ცუდად წარმოჩნდა.

საბოლოო შეფასება მიიღება თითოეული შეფასებული კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით; მაგ., თემის აქტუალურობაში დოქტორანტმა თუკი დაიმსახურა 8 ბალი, მისი შეფასება იქნება 8 გაყოფილი 10-ზე და გამრავლებული 30-ზე = 24 ქულა.

სადოქტორო ნაშრომი დაცულად ითვლება, თუკი ხარისხის მაძიებელი მიიღებს ერთ-ერთს ამ შეფასებათაგან: ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, ან საშუალო. ეს შეფასებები საშუალებას აძლევს დოქტორანტს, მიიღოს დარჩენილი 30 კრედიტი; შესაბამისად, მას დაუგროვდება 120 კრედიტი, რაც გახდება საფუძველი, რომ მას მიენიჭოს საძიებელი ხარისხი.

15. სადოქტორო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათება დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების 6 ჯგუფის შესაბამისად /ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები/:

სადოქტორო პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათება:

ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის გავლის შემდეგ დოქტორანტს კრიტიკულად ექნება გაანალიზებული ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, დაუფლებული იქნება წარმატებული კვლევის უნარ-ჩვევებს, შეეძლება ორიგინალური სამეცნიერო კვლევების წარმოება ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით. სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ მას შესაძლებლობა ექნება, მიღებული ცოდნა გამოიყენოს ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით ახალი სამეცნიერო პრობლემების დასასმელად და, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ორიგინალური გზით გადასაჭრელად.

ასევე: დოქტორატურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი დაეუფლება უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის უნარ-ჩვევებსა და მიღებული ცოდნისა თუ საკუთარი კვლევის შედეგების ეფექტური და გასაგები ფორმით წარდგენის უნარს; სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი იქნება აკადემიური დონის ლექტორი; კერძოდ, დოქტორანტურის კურსდამთავრებული შეძლებს:

- წარმატებით იკვლიოს ქართული სამწიგნობრო ენა და ქართველური ენა-კილოები;
- დაწეროს მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ნაშრომები;
- ეფექტურად გამოიყენოს თავისი ცოდნა და დამატებითი რესურსები, რათა დამოუკიდებლად დაგეგმოს თავისი თუ სხვათა კვლევები;
- მაღალი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს სალექციო კურსები არჩეულ სპეციალობაში და უხელმძღვანელოს ჯგუფის მუშაობას;
- თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მოამზადოს ბიბლიოგრაფია და მონაცემთა ბაზა (სადიებლებისა და ინდექსებითურთ);
- ქართული სტანდარტული ენისა და ქართველური ქვესისტემების ენობრივი თავისებურებების ცოდნისა და თანამედროვე ტექნოლოგიების (თუ მეთოდების) გამოყენებით გაანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს დიალექტური (იმერული, რაჭული, ლაზური, მეგრული, სვანური, იმერხეული, ტაოური, გურული...) ტექსტების კორპუსი და სხვადასხვა სახის სალექსიკონო მასალა;
- ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული თემების ანალიზისას ქართველოლოგიური მასალის გვერდით გამოიყენოს მომიჯნავე დარგთა მონაცემები;
- ეფექტურად წარადგინოს თავისი ცოდნა და კვლევის შედეგები სამეცნიერო საზოგადოების წინაშე;
- აკადემიური ფორმით გადასცეს თავისი ცოდნა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს და სხვ.

კურსდამთავრებულის კვალიფიკაციის დახასიათება: სადოქტორო პროგრამის ("ქართველურ ენათმეცნიერება") კურსდამთავრებულის კომპეტენციები კომპაქტურად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ცოდნა და გაცნობიერება: სადოქტორო პროგრამის გავლის პროცესში დოქტორანტი გაიღრმავებს მაგისტრატურაში მიღებულ განათლებას; დაეუფლება კვლევის თანამედროვე მეთოდებს; მიიღებს ამომწურავ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში. სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება მოამზადოს აკადემიური პუბლიკაციები საერთაშორისო რეფერირებადი

ჟურნალებისათვის და შეეძლება საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, დამოუკიდებლად დაგეგმოს, განახორციელოს და ზედამხედველობა გაუწიოს ინოვაციურ კვლევებს; შეეძლება შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.

დასკვნის გაკეთების უნარი: სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება საკმარისი ცოდნა და კვალიფიკაცია, კრიტიკულად მიუდგეს ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს, მოახდინოს აკადემიური სინთეზი და შეფასება. ექნება საკმარისი უნარ-ჩვევები და ცოდნა, დამოუკიდებლად მიიღოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილება პრობლემის გადაჭრისათვის.

კომუნიკაციის უნარი: სადოქტორო პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება საკმარისი ცოდნა, ქართულად და ერთ უცხო ენაზე მაინც ადეკვატურად და ეფექტურად გადასცეს რთული და სადავო სამეცნიერო ქართველოლოგიური ინფორმაცია კოლეგებსა და ფართო საზოგადოებას (ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით). ჩვენი სადოქტორო პროგრამის გავლის პროცესში დოქტორანტი დაეუფლება თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებსა და უახლეს ინტერდისციპლინარულ მეთოდებს, რომლებიც გაუიოლებს მას კოლეგებთან თუ მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან კომუნიკაციის პროცესს.

სწავლების უნარი: სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორს ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, ქართველური ენათმეცნიერების დარგები წარმატებულად ასწავლოს უნივერსიტეტსა და სხვა ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში; შეეძლება წარმატებულად დაგეგმოს და მართოს სწავლების პროცესი.

ღირებულებები: ჩვენს დოქტორს შეეძლება:

- ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით არსებითი წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში;
- შეიმუშაოს ტრადიციულ მყარ ღირებულებათა დამკვიდრების ინოვაციური მეთოდები და ახალ ღირებულებათა დამკვიდრების გზები/საშუალებები.

პროგრამის საბოლოო შედეგი: ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობით ჰუმანიტარულ/ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგის ისეთი დოქტორის მომზადება, რომელიც მზად იქნება მსოფლიოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ასწავლოს და იკვლიოს ქართველური ენათმეცნიერების, ქართველოლოგიისა და ზოგადი ენათმეცნიერების მიმართულებებით. შეეძლება, სამეცნიერო სივრცეში საანალიზოდ გამოიტანოს არგუმენტირებული დებულებები. სადისერტაციო თემის მიმართულებით კურსდამთავრებულს ექნება საუკეთესო ცოდნა; შეეძლება, საქართველოშიც და უცხოეთშიც დაინტერესებულ პირთ პროფესიულ დონეზე ასწავლოს ნორმირებული (სტანდარტული) ქართული ენა და ქართველური ენა-კილოები (მეგრული, ლაზური, სვანური, მესხური, ფხოური, ჰერული და სხვა ქართველური მეტყველებები).

კონკრეტული სასწავლო კურსების შედეგები ზოგადი და დარგობრივი /ქართველურ ენათმეცნიერებაში/ კომპეტენციების მიხედვით სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

ს ა გ ნ ე ბ ი		ქართველური ენათმეცნიერების ძინთაიძე პრბლბიძე - I-II	მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)	სვანური კილოები (თეორიული კურსი)	მესხური კილოები (თეორიული კურსი)	სპეციალური დარგობრივი კურსები	ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	პროფესორის ასისტენტობა	სემინარი	კოლოქიუმი	სტატიის მომზადება
დარგობრივი კომპეტენციები	ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების ცოდნა და გაცნობიერება	+										
	ქართველური ენობრივი ქვესისტემების თავისებურებების ცოდნა და გაცნობიერება /ვრცლად იხ., სილაბუსებში/		+	+	+							
	სპეციალური დარგობრივი კურსის ცოდნა და გაცნობიერება					+	+	+				
ზოგადი კომპეტენციები	კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების იდენტიფიცირების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+			
	სამეცნიერო პრობლემის გადაჭრისათვის კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი						+				+	+
	აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი	+	+	+	+	+	+		+	+	+	+
	სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი	+	+	+	+	+	+		+	+	+	+
	მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით აქტიური კომუნიკაციის უნარი							+	+	+	+	+
	განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი	+	+	+	+	+						
	ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის უნარი							+	+	+	+	
	საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი						+	+	+	+	+	+
	უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	ახალი იდეების გენერირების უნარი	+	+	+	+	+	+	+	+	+	+	+
	კვლევის თანამედროვე მეთოდების ფლობა						+		+			
	სწავლების თანამედროვე მეთოდების ფლობა							+				
	აუდიტორიაში სტუდენტებთან ურთიერთობა							+	+			
	სამეცნიერო აუდიტორიასთან ურთიერთობის ჩვევები									+	+	

სტატიის ცოდნა	მომზადების წესების																			+
------------------	-----------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	---

16. დასაქმების სფეროები.

"ქართველური ენათმეცნიერების" სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური ენა-კილოების პროფესიონალ მკვლევარსა და აკადემიურ მუშაკს (ლექტორს, მეცნიერ-თანამშრომელს), მუშაობა შეეძლება:

- ნებისმიერი უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ სტრუქტურულ ერთეულში აკადემიურ თანამდებობაზე (სკოლა/ფაკულტეტი, ინსტიტუტი, ლაბორატორია...);
- მეცნიერ-თანამშრომლად ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში/ცენტრში;
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში;
- საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და არქივში;
- საგამომცემლო ორგანიზაციებში;
- სხვადასხვა ხასიათის ორგანიზაციების მმართველობით სტრუქტურებში /სადაც აუცილებელია უმაღლესი დონის ჰუმანიტარული განათლება/...

17. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა და მატერიალური და ფინანსური რესურსები

17.1. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის /სკოლის/ ბიბლიოთეკა და ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია დოქტორანტურაში საჭირო იმ ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურით, რომლებიც აუცილებელია დოქტორანტის სწავლებისა და სადისერტაციო თემების დასამუშავებლად /დოქტორანტის სამეცნიერო კვლევებისათვის/. ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულების ვებგვერდსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის არქივში დევს საჭირო ელექტრონული რესურსები /ახალი გამოკვლევები, საანალიზო მასალა, ზოგ შემთხვევაში კი - მისამართები/. ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც არ მოიპოვება უნივერსიტეტში, დოქტორანტს შეუძლია მოიძიოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

17.2. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის /სკოლის/ აუდიტორიები /სადაც მომზადდებიან ფილოლოგიის დოქტორები/ კეთილმოწყობილი და ნათელია; უნივერსიტეტში არსებული ქართველური დიალექტოლოგიის მიმართულება (სადაც ექსპედიციებით მოპოვებულ ლინგვისტურ/დიალექტოლოგიურ ემპირიულ თუ სხვა სახის საანალიზო მასალებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე იმუშავებენ დოქტორანტები) აღჭურვილია თანამედროვე აპარატურითა /ახალი თაობის კომპიუტერები, პრინტერი.../ და ინტერნეტქსელით;

17.3. სადოქტორო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს ერიცხება უნივერსიტეტის შემოსავლებიდან; ბიუჯეტის ნაწილს შეავსებს დოქტორანტების მიერ მიღებული სახელმწიფო ვაუჩერები და გადასახადები.

სადოქტორო პროგრამის ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტის, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის /სკოლის/ ფარგლებში და პროფესორ-მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გარდა მოიცავს დოქტორანტების ნაშრომთა, პრეზენტაციების, სამეცნიერო კონფერენციების, ექსპედიციებისა და ექსკურსიების მოწყობას. სადოქტორო პროგრამა ფინანსურად სტაბილურია/მდგრადი, ხოლო შემოსავლები და ხარჯები/გასავალი მყარადაა დაბალანსებული.

ეს ყოველივე საშუალებას იძლევა, თანამედროვე პირობებში უახლესი სამეცნიერო ლიტერატურითა და თანამედროვე მეთოდოლოგიით მომზადდეს ისეთი დოქტორი, რომელიც მზად იქნება მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტში სასწავლო კურსების წასაკითხად და მაღალი დონის სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად.

18. პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით სადოქტორო პროგრამა ძირითადად განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის მიმართულების სრული და ასოცირებული პროფესორების მიერ; კერძოდ, უნივერსიტეტის პროფესორები: ტარიელ ფუტყარაძე, მარინე ქაცარავა, ეკა დადიანი, რუსუდან სალინაძე, ნინო ფხაკაძე, იმერ ბასილაძე და სხვ. არიან ცნობილი მეცნიერები, რომელთა ნაშრომები აქტიურად ქვეყნდება ბოლო პერიოდის წამყვან სამეცნიერო ჟურნალებში და აქვთ უმღლეს სკოლაში სწავლების დიდი პრაქტიკა /იხ. თანდართული პირადი მონაცემები/.

19. არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად შეიძლება მიღებულ იქნას 5-7 დოქტორანტი.

20. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი საგნების ანოტაციები (სილაბუსები იხ. დანართში)

კურსის კოდი: HQD0010

კურსის დასახელება: **ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - I** /ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიის ისტორიისა და ფონემატური სტრუქტურის ძირითადი პრობლემები/

დოქტორანტურა ცოდნის სინთეზისა და ახალი ხედვების კონსტრუირების პერიოდია, ამიტომაც, ჩვენი სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი საგანი: **"ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - I"** ითვალისწინებს ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ისტორიისა და ფონემატური სტრუქტურის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლასა და პრობლემების ანალიზს (განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დარგის მიხედვით საერთაშორისო ველში არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა მასალების კრიტიკულ ანალიზს), - ახალი სამეცნიერო პრობლემების წამოჭრისა და პროფესიული გადაწყვეტის გამოცდილების მიღებას; კერძოდ, კვლევის თანამედროვე მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების გამოყენებითა და ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო სკოლებზე დაფუძნებით დოქტორანტის მიერ საფუძვლიანად უნდა დამუშავდეს საერთოქართველური ენის, ქართული სამწიგნობრო ენის, ქართველური ენა-კილოების ფონემატური სტრუქტურების შესახებ არსებული ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც სცილდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეს. კურსის გავლის პროცესში დოქტორანტი წარმატებით მოახდინს თავისი ცოდნის სინთეზს.

კურსის კოდი: HQD0020

კურსის დასახელება: **"ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები - II** /ქართველური ენა-კილოების მორფოლოგიის, ლექსიკის, სემანტიკისა და სინტაქსის ძირითადი პრობლემები/"

სასწავლო კურსი ითვალისწინებს ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის, ონომასტიკისა და ტექსტის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის სიღრმისეულ შესწავლასა და პრობლემების ანალიზს; კერძოდ, კვლევის თანამედროვე მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების გამოყენებითა და ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო სკოლებზე დაფუძნებით სიღრმისეულად განიხილება:

- სახელდების პრინციპები და სიტყვაწარმოება ქართველურ ენობრივ ქვესისტემებში;
 - ქართველური ონომასტიკის ძირითადი პრობლემები;
 - ქართველური სახელის ფორმაწარმოება [დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი];
 - ქართველური ზმნის ფორმაწარმოება [დიასისტემური და ტიპოლოგიური ანალიზი];
 - ქართველური წინადადება, ფრაზა და ტექსტი (ტექსტის ლინგვისტიკა);
 - ქართული ენის კომპიუტერული მოდელირება და მანქანური თარგმანი. კორპუსის ლინგვისტიკა;
 - სადოქტორო თემის თეორიული საფუძვლები (გამოწვლილვითი ანალიზი)...
- კურსის გავლის პროცესში დოქტორანტს მოეთხოვება, დაამუშაოს ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც არ განხილულა ბალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე. დოქტორანტი წარმატებით მოახდინს თავისი ცოდნის სინთეზს.

კურსის კოდი: HQD0030

კურსის დასახელება: **მეგრულ-ლაზური კილოები (თეორიული კურსი)**

კურსი ითვალისწინებს მეგრულ-ლაზური კილოების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური... სტრუქტურის საფუძვლიან შესწავლას; გაანალიზდება საერთოქართველური თუ განსხვავებული, საკუთრივ მეგრულ-ლაზური კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები; ყურადღება გამახვილდება პრობლემურ საკითხებზე, კერძოდ:

მეგრულ-ლაზურის კვალიფიკაციის საკითხი მეცნიერებაში (სხვადასხვა თვალსაზრისის კრიტიკული ანალიზი); მეგრულ-ლაზურის ფონემატური სტრუქტურა; ფონეტიკურ ცვლილებათა ძირითადი ტენდენციები/კანონზომიერებები; სახელისა და ზმნის ფორმაცვალება (საერთო და განსხვავებული ყალიბები); მარტივი და რთული სინტაქსური კონსტრუქციები; მეგრულ-ლაზურის ლექსიკა (საერთოქართველური, დიალექტური, ნასესხები).

დოქტორანტს ექნება საშუალება კვლევის თანამედროვე მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების გამოყენებით საფუძვლიანად დაამუშაოს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული თვალსაზრისები და სათანადო არგუმენტების მოხმობით პრობლემის ირგვლივ საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს.

კურსის კოდი: HQD0040

კურსის დასახელება: **სვანური კილოები (თეორიული კურსი)**

სასწავლო კურსი შეისწავლის სვანური კილოების ენობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვან საკითხებს; სიღრმისეულად გაანალიზდება საერთოქართველური და საკუთრივ სვანური კილოებისათვის ნიშანდობლივი ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური... მოვლენები. კერძოდ:

სვანური კილოების ფონემატური სტრუქტურა; ფონეტიკური ცვლილებები (სინქრონიული და დიაქრონიული ასპექტით); სახელის ფორმაცვალება; ზმნის ფორმაცვალება (საერთო და განსხვავებული ყალიბები); მარტივი და რთული სინტაქსური კონსტრუქციები; ლექსიკა (საერთოქართველური, დიალექტური, ნასესხები).

დოქტორანტი მიიღებს საფუძვლიან ცოდნას სვანური კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსისა და ლექსიკაში; დოქტორანტს შეეძლება სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, წერილობითი თუ ზეპირი პრეზენტაცია, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წარმართვა, პრობლემის ირგვლივ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება...

კურსის კოდი: HQD0050

კურსის დასახელება: **მესხური (ტაო-კლარჯულ-სამცხურ-ჯავახურ-აჭარული) კილოები** (თეორიული კურსი)

კურსი ითვალისწინებს მესხური კილოების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური... სტრუქტურის საფუძვლიან შესწავლას; გაანალიზდება საერთოქართველური თუ განსხვავებული, საკუთრივ მესხური კილოებისათვის დამახასიათებელი მოვლენები; ყურადღება გამახვილდება პრობლემურ საკითხებზე, კერძოდ, გაანალიზდება:

მესხური კილოების ფონემატური სტრუქტურა; ფონეტიკურ ცვლილებათა ძირითადი ტენდენციები/კანონზომიერებები; სახელისა და ზმნის ფორმაცვალება (საერთო და განსხვავებული ყალიბები); მარტივი და რთული სინტაქსური კონსტრუქციები; მეგრულ-ლაზურის ლექსიკა (საერთოქართველური, დიალექტური, ნასესხები).

დოქტორანტს საშუალება ექნება, ასევე, კვლევის თანამედროვე მეთოდებისა თუ ტექნოლოგიების გამოყენებით საფუძვლიანად დაამუშაოს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული თვალსაზრისები და სათანადო არგუმენტების მოხმობით პრობლემის ირგვლივ საკუთარი აზრი ჩამოაყალიბოს.

კურსის კოდი: HQD0180

კურსის დასახელება: **ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები**

კურსი მიზნად ისახავს დოქტორის ხარისხის მაძიებელთა მომზადებას სამეცნიერო საკვლევი მასალის მეთოდოლოგიური ასპექტების, სამეცნიერო კვლევის მეთოდების, კვლევის შედეგების სამეცნიერო კონფერენციებისა და სპეციალურ ჟურნალებსა და კრებულებში გამოსაქვეყნებლად დამუშავების ფორმებისა და ხერხების დაუფლების მიმართულებით; ამ ეტაპის საფუძველზე კი უმთავრესი მიზნის - საკვალიფიკაციო ნაშრომის (დისერტაციის) სტრუქტურირების, გაფორმებისა და საპაექროდ წარდგენის თემატური, სემანტიკური, სტილებრივ-ორთოგრაფიული, ტერმინოლოგიური სტანდარტების სწავლებას.

ეს ამოცანა გულისხმობს შემდეგი თემების განხილვასა და ათვისებას:

- სამეცნიერო კვლევის ორგანიზაცია;
- სამეცნიერო სტატიების მომზადება და გამოქვეყნება;
- საკვალიფიკაციო თემის დაგეგმარება; ბიბლიოგრაფიის შედგენა (გაფორმება);
- საკვლევი მასალის შეკრების მეთოდების გათვალისწინება და კონკრეტული თემისათვის შესაფერისი მეთოდების შერჩევა;

- საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (რეფერირება); საკონფერენციო (სიმპოზიუმების, სესიების, პოსტერების) მოხსენებათა თეზისების დაწერის ტექნოლოგიის დაუფლება;

- თანამედროვე ინტერნეტსერვისების, საძიებო სისტემების, ინტერნეტ-საცავების, ვიდეო-და ფოტო-საცავების, ელექტრონული კორპუსების, ელექტრონული ბიბლიოთეკების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში.

- ენათმეცნიერების ცალკეული საკითხების სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

კურსი თავისი ხასიათით მეთოდოლოგიურიცაა და პრაქტიკულიც. იგი შეიძლება ნაწილობრივ მოიცავდეს ინდივიდუალურ საკონსულტაციო სამუშაოსაც, რომელიც მაძიებლის საკვალიფიკაციო მოღვაწეობის კონკრეტული ეტაპის შესაბამისი ამოცანის გადაჭრისაკენ იქნება მიმართული.

კურსის კოდი: PPD0160

კურსის დასახელება: **სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები**
წარმოდგენილი კურსი ითვალისწინებს:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ძირითადი პრინციპების მიწოდებას;

- სალექციო საკითხის (პრობლემის) მკაფიოდ ჩამოყალიბებას (იდენტიფიცირებას), პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებას;
- პრობლემის ანალიზისას კრიტიკულ აზროვნების სტიმულირებას; კერძოდ, პრობლემის გარშემო კითხვების ჩამოყალიბებასა და დამოუკიდებელ (ორიგინალურ) მიდგომას;
- უმაღლესი სკოლისთვის საჭირო სასარგებლო პედაგოგიური უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას;
- თანამედროვე ინტერნეტსერვისების, საძიებო სისტემების, ვირტუალური ოფისის (Google, Officelive), ელექტრონული საცავების, ინტერნეტ-საცავების (www.lemill.net), ვიდეო-საცავების (www.youtube.com), ფოტო-საცავების (www.flickr.com), ელექტრონული კორპუსების, ელექტრონული ლექსიკონების, ელექტრონული ბიბლიოთეკების, ელექტრონული ენციკლოპედიების... გამოყენებას კვლევასა და სწავლებაში.
- ქართველური ენათმეცნიერების ცალკეული საკითხების სწავლებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

კურსის კოდი: PPD0070

პროფესორის ასისტენტობა

პროფესორის ასისტენტობის ფარგლებში დოქტორანტი ასისტენტობას უწევს სრულ პროფესორს /ხელმძღვანელს/, კერძოდ, ასრულებს შემდეგ სამუშაოებს /აუცილებელია 1-10 კომპონენტების შესრულება/:

პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარება /ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/
სტუდენტთა ჯგუფური სამუშაოს ორგანიზება /ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/
სტუდენტთა დისკუსიის ორგანიზება სემინარის დროს /ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში/
შუალედური და საბოლოო გამოცდისთვის საკითხების/ტესტების მომზადება პროფესორის ხელმძღვანელობით
სტუდენტთა ნაშრომების გასწორება
საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება და წარდგენა
ელექტრონული სასწავლო კურსებისათვის მასალების მომზადება
ბაკალავრიატის, მაგისტრატურის სტუდენტთათვის დახმარების გაწევა/კონსულტირება
პროფესორისთვის ტექნიკური ასისტენტობის გაწევა
სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობა
სხვა უმაღლეს სასწავლებლებში წაკითხული კურსების ჩამონათვალი (წლისა და საათების რაოდენობის მითითებით)

შენიშვნა: ყოველი შესრულებული კომპონენტი ფასდება 100 ქულით; საბოლოო შეფასება მიიღება კომპონენტების შეფასებათა საშუალო არითმეტიკულით (ცალკეული კომპონენტების შეფასებათა ჯამი იყოფა ასეთი კომპონენტების რაოდენობაზე).

კურსის კოდი: HQD0060

სემინარი 1

სამეცნიერო სემინარის ძირითადი მიზანია სასემინარო საკითხის/პრობლემის სიღრმისეული ანალიზი, სადოქტორო დისერტაციის მომზადების ტექნოლოგიის ათვისება-სრულყოფა და დისერტაციის დაცვის პროცესისათვის მომზადება. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება;
- დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავება და სრულყოფა;
- სემინარის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრება;
- პრეზენტაციის უნარისა და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფა;

- დამოუკიდებელი და ჯგუფთან მუშაობის უნარის განვითარება-სრულყოფა;
- სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება რეფერირებადი ჟურნალისათვის.

კურსის კოდი: HQD0190

სემინარი 2

სამეცნიერო სემინარის ძირითადი მიზანია სასემინარო საკითხის/პრობლემის სიღრმისეული ანალიზი, სადოქტორო დისერტაციის მომზადების ტექნოლოგიის ათვისება-სრულყოფა და დისერტაციის დაცვის პროცესისათვის მომზადება. აღნიშნული მიზნის მიღწევის პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- დარგის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის არეალის გაფართოება;
- დარგის ინოვაციური კვლევის მეთოდოლოგიის დამოუკიდებლად შემუშავება და სრულყოფა;
- სემინარის თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გააზრება;
- პრეზენტაციის უნარისა და დისპუტის ხელოვნების განვითარება-სრულყოფა;
- დამოუკიდებელი და ჯგუფთან მუშაობის უნარის განვითარება-სრულყოფა;
- სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადება რეფერირებადი ჟურნალისათვის.

არჩევითი საგნების ანოტაციები

კურსის კოდი: HQD0081

კურსის დასახელება: **ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში**

კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და ტრადიციულ ქართულ სამეცნიერო სკოლებზე დაფუძნებით შეისწავლება საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა; აკადემიურად დამუშავდება ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც არ შესწავლილა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე; კერძოდ, შეისწავლება:

- უძველეს პერიოდში არსებული წინარექართველური ტომები და ქართველური თემები. ქართველი ერის ფორმირების ისტორიის ძირითადი ასპექტები;
- საერთოქართული კონინესა და სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი მოდელის საკითხი;
- საქართველოში ქრისტიანობის გამოცხადება სახელმწიფო რელიგიად და ქართული კულტურის უძველესი კერები;
- ხანმეტი და ჰამეტი ტექსტების ენა;
- ქართული სამწიგნობრო კულტურის განვითარების ეტაპები;
- საქართველოს ენობრივ-კულტურული სიტუაცია დღეს...

კურსის კოდი: HQD0091

კურსის დასახელება: **ქართველური ფონემატური სტრუქტურის საკვანძო საკითხები**

კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის ფონოტაქტიკის წესების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებასა და სამეტყველო ნაკადში ბგერათა ქცევის შესწავლას; კერძოდ, სასწავლო კურსის ამოცანაა ქართული ენის ხმოვანთკომპლექსთა ტრანსფორმაციის თავისებურებების გააზრება; აკრძალული, დასაშვები და ჰარმონიული თანხმოვანთკომპლექსების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და განსხვავებული მოსაზრებების შეპირისპირებითი ანალიზი...

კურსის კოდი: HQD0101

კურსის დასახელება: **ქართველური სახელის პარადიგმა**. სასწავლო კურსის მიზანია ქართველური ენა-კილოების სახელის ფორმალური საფუძვლიანად შესწავლა; მათ შორის არსებული საერთო და განსხვავებული ფაქტების/მოვლენების გამოკვეთა,

სისტემური ანალიზი; ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული თვალსაზრისების გაცნობა, მათი კრიტიკული ანალიზი, სათანადო არგუმენტების მოხმობით პრობლემის ირგვლივ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

კურსის კოდი: HQD0111

კურსის დასახელება: **ქართველური ზმნის პარადიგმა**

საგანი მიზნად ისახავს გრამატიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხის – ქართველური ზმნის პარადიგმასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების შესწავლას.

ზმნამ საერთოქართველურ დონეზე ისტორიულად განიცადა არსებითი ფორმოზრივ-სემანტიკური ცვლილებები. თანდათან გართულდა ზმნის უღლების სისტემა. საუღლებელ ერთეულთა რაოდენობაც შეიცვალა. ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდა, რასაც ცხადყოფს სალიტერატურო ენის ძეგლებისა და დიალექტების ჩვენება. ამდენად, ქართველური ენათმეცნიერების მომავალი სპეციალისტის მიერ ზმნურ პარადიგმასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების შესწავლა-დამუშავებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ დოქტორანტი დაეუფლება ქართველური ზმნის პარადიგმის საფუძვლებს, ზმნის პარადიგმატული სისტემის შესახებ არსებულ სხვადასხვაგვარ (ტრადიციულსა და ახალს) შეხედულებებს. იგი შეძლებს: ქართველური ზმნური სტრუქტურის დახასიათებას; მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებში გარკვევას; ზმნურ კატეგორიებზე, პარადიგმატულ სისტემაზე მსჯელობას როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ დონეზე; ქართველურ მონაცემთა შეპირისპირებითს ანალიზს, საერთო კანონზომიერებათა დადგენას, საერთოქართველური და განსხვავებული, სპეციფიკური მოვლენების გამოყოფას, ზოგადისა და კერძობითი მოვლენების ახსნას.

კურსის კოდი: HQD0121

კურსის დასახელება: **ქართველურ ენა-კილოთა სინტაქსი.**

სასწავლო კურსის მიზანია ქართველურ ენა-კილოთა სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის საფუძვლიანი შესწავლა; ქართული სამწიგნობრო ენისა და დიალექტებისათვის დამახასიათებელი საერთო და განსხვავებული სინტაქსური მოვლენების განხილვა და წარმოჩენა; ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული განსხვავებული თვალსაზრისების გაცნობა, მათი კრიტიკული ანალიზი. განსაკუთრებით საინტერესოა ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა; ერგატიული კონსტრუქცია როგორც საერთოქართველურისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენა. განიხილება, აგრეთვე, ზეპირი მეტყველების სინტაქსური თავისებურებანი სალიტერატურო ენასთან მიმართებით.

კურსის კოდი: HQD0161

კურსის დასახელება: **ქართველური ტერმინოლოგიის პრობლემური კურსი**

ქართველური ტერმინოლოგია ინტერესს იწვევს როგორც ენათმეცნიერული, ისე მატერიალური და სულიერი კულტურის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისით, რადგან სპეციალური ლექსიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთან. ტერმინი ცნების სიტყვიერი ხატია. ცნება კი მეცნიერული (პროფესიული) აზროვნების კატეგორიაა. აზრობლივი ველისა და მისი შესატყვისი თეორიული დისციპლინის ჩამოყალიბების წინაპირობა სათანადო სიტყვიერი სუბსტანციის - ტერმინოლოგიის - მოწესრიგებაა. კურსის მიზანია ქართველური ტერმინოლოგიური ველების ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობის წარმოჩენა-სწავლება, ტერმინოლოგიის ლინგვისტური პრობლემატიკის - ტერმინთა გენეზისის, მათი სტრუქტურის, სემანტიკის, ლექსიკური საყრდენების, სიტყვაწარმოებითი ხერხებისა და საშუალებების, ტერმინოლოგიური ნორმის -

ღრმა ანალიზი, ქართველური ტერმინოლოგიის სისტემური კანონზომიერებების კვლევა და სპეციფიკის წარმოჩენა, მიზეზთა განხილვა და ანალიზი.

კურსის კოდი: HQD0131

კურსის დასახელება: **ქართველური ლექსიკოლოგიის პრობლემური კურსი**

კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს მეცნიერული ცოდნა ქართველური ლექსიკოლოგიის პრობლემური საკითხების შესახებ. კრიტიკულად განიხილოს ენის ლექსიკური სისტემის კანონზომიერებანი, ლექსიკური ფონდის გენეზისური საკითხები, დიფერენცირების სქემები, სემანტიკური მახასიათებლები, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზემოქმედება ლექსემათა სისტემური პოტენციის გამოვლენისას, შექმნას ქართველური ლექსიკური ფონდის დიაქრონიული სურათი, შეასწავლოს სიტყვაწარმოების უნივერსალური და კერძო ლინგვისტური კანონები და მათი განხორციელების მექანიზმები, გამოუმუშავოს ლექსიკური ფონდის კვლევის შესაძლებლობა ლექსიკოლოგიის თეორიული საკითხების სწორი ინტერპრეტაციით.

კურსის კოდი: HQD0141

კურსის დასახელება: **სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის პრინციპები**

სასწავლო კურსის შესწავლის ძირითადი მიზანია სამწიგნობრო ენის ნორმალიზაციის ზოგადი საფუძვლების, ნორმათა დადგენის პრინციპების გაცნობა და პრობლემური საკითხების დამუშავება. სამწიგნობრო ენის ნორმის გამომუშავება ენობრივი სისტემის კანონზომიერებათა და ენის ისტორიისა და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს. ამ მხარის მოვლა, ნორმირებისათვის ობიექტური საფუძვლის შექმნა, უპ. ყოვლისა, ენის სპეციალისტს ევალება. ამდენად, საგნის შესწავლა სწორედ ისეთი სპეციალისტის მომზადებას ითვალისწინებს, რომელიც გარკვეული იქნება სამწიგნობრო ენის ნორმირების თეორიულსა და პრაქტიკულ საკითხებში, შეძლებს ნორმირების პრინციპებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევასა და სწორად გადაწყვეტას.

კურსის კოდი: HQD0201

სადოქტორო ნაშრომი